ალი ხამენეის პოლიტიკური პორტრეტი

მაია კაპანაძე
ისტორიის დოქტორი,
კავკასიის საეთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, საქართველო
თამთა კოდუა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი,
თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

ირანის სულიერი ლიდერი ამ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის არა მარტო სულიერი, არამედ პოლიტიკური ლიდერიცაა. მის ხელში საკმაოდ დიდი ძალაუფლებაა თავმოყრილი, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციითაა გამყარებული.

საკმაოდ საინტერესოა ირანის ისლამური რესპუბლიკის ამჟამინდელი ლიდერი ალი ხამენეი. გამორჩეულია მისი პოლიტიკური საქმიანობაც. აქედან გამომდინარე, ის ყურადღებას იბყრობს, არა მხოლოდ სულიერი, არამედ, როგორც პოლიტიკური ლიდერისა. აღსანიშნავია, რომ ალი ხამენეი სანამ ირანის რაჰბარი (სულიერი ლიდერი) გახდებოდა, რვა წლის განმავლობაში ქვეყნის პრეზიდენტი იყო და ირანის პირველ სულიერ ლიდერ აიათოლა რუჰოლა ხომეინისთან ერთად განაგებდა ქვეყანას.

ალი ხამენეი საკმაოდ აქტიურად ერევა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც მისი ლეგიტიმური უფლებაა. მან მნიშვნ-

ელოვანი როლი შეასრულა 2015 წელს, ირანისთვის სანქციების მოხსნის საკითხში, ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტ ჰასან როუჰ-ანისთან ერთად. ის აქტიურადაა ჩართული იმ მოლაპარაკებებში, რომელიც მიმდინარეობს ირანის სანქციებთან დაკავშირებით.

საძიებო სიტყვები: ირანი; რაჰბარი; ლიდერი; ხამენეი; კონსტი-ტუცია; პოლიტიკა.

შესავალი

ირანის სულიერი ლიდერი „რაჰბარი“, ანუ წინამძღოლი ატარ-ებს უმაღლესი შიიტური სასულიერო პირის, აიათოლას ტიტ-ულს. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის სავალდებულო ირანის სულიერი ლიდერი იყოს დიდი აიათოლა, როგორც ეს ირანის პირველი სულიერი ლიდერი აიათოლა რუჰოლა ხომეინი იყო.

ირანის ისლამური რესპუბლიკის დღევანდელი სულიერი ლიდერი 1989 წლიდან არის აიათოლა ალ-'უზმა ჰაჯჯი სეიდ ალი ჰუსაინ ხამენეი. საინტერესო და ამავე დრო ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ალი ხამენეის პოლიტიკური მოღვაწეობის საკ-მაოდ ხანგრძლივი პერიოდი, რადგან მართალია, ის სულიერი ლიდერია, მაგრამ ხამენეი უდიდეს როლს ასრულებს ირანის პოლიტიკაში, იქედან გამომდინარე რომ სასულიეროსთან ერთად მას დიდი საერო ძალაუფლებაც გააჩნია.

მეთოდი

სამეცნიერო სტატია დაეფუძვნა კვლევის შემდეგ მეთოდებს: შედარებით-ისტორიულ, მიზეზობრივ-შედარებით, სისტემურ ანალიზს.

შედეგები

ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერს ალი ხამე-ნეის ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე არჩევიდან დღემდე, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. ის ამ მხრივ საკმაოდ აქტიურია და კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლება - მოვალეობებს უკვე 30 წელზე მეტია ასრულებს. ალი ხამენეი ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა და აქე-დან გამომდინარე, ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადა-წყვეტილებების მიღებაში სერიოზულად ერევა. მისი როლი ქვე-

ყნის პრეზიდენტებთან ერთად ირანისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას დიდია.

დისკუსია

ალი ხამენეი დაიბადა ჰიჯრის 1358 წლის 28 საფარს 1939 წლის 17 ივლისს. შიიტების ერთ-ერთ წმინდა ქალაქ მაშჰადში. მამამისი ჯავად ჰუსაინ ხამენეი სასულიერო პირი იყო. ალი ხამენეის საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ის ასე აღწერს თავის ბავშვობის დროინდელ ცხოვრებას: „ვცხოვრობდით მაშჰადში. ჩვენი სახლი შედგებოდა სულ ერთი ოთახისაგან, რომელსაც ჰქონდა ათი ნაბიჯი სიგრძე და ექვსიც - სიგანე. ოთახის ქვეშ კი იყო მიწური სათავსო, სადაც ჩავდიოდით ხოლმე, როდესაც მამასთან, როგორც მუჯთაჰიდსა[3] და ალიმთან,[4] მოდიოდნენ მოაჯენი. საკმაოდ გვიჭირდა. ბევრჯერ უვახშმოდ დაგვიძინია“ (Ali Khamenei, 2014:1).

ალი ხამენეიმ ოთხი წლის ასაკში სწავლა „დარ ალ-თა'ლიმ დინიათ“-ში დაიწყო, სადაც შეისწავლა წერა-კითხვა, ანგარიში და ყურანი. 15 წლისამ „ჯამი ალ-მოყადამათ“-ში დაასრულა სწავლა. 18 წლის ალი ხამენეიმ კი დარსდარს-ე ხარიჯი დაამთავრა. მომავალმა რაჰბარმა მშობლების რჩევით სასულიერო კარიერა აირჩია. ალი ხამენეი მალევე გაემგზავრა ქალაქ ნაჯაფში (ერაყი), შიიტების ერთ-ერთი წმინდა ქალაქის მოსალოცად (Ganji, 2013:1).

ალი ხამენეი 1958-1964 წლებში ირანის შიიტების წმინდა ქალაქ ყუმში, სადაც ზის დიდი აიათოლა, აიათოლების ბორუჯერდის (ხომენეიმდე დიდი აიათოლა), ხომეინის, იაზდისა და თაბათაბა'ის შეგირდი იყო. მან სასულიერო განათლების მიღება ყუმშიყუმში აიათოლა რუჰოლა ხომეინის ხელმძღვანელობით დაიწყო.

ალი ხამენეი 1963 წლიდან ჩაერთო მონარქიის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში, რის გამოც ირანის უსაფრთხოების სამსახურებმა ის რამოდენიმეჯერ დააპატიმრა. ხამენეის ახლო ურთიერთობა ქონდა დევნილ ხომეინისთან (Muhsin, 2014: 2. ჭიპაშვილი, 1989: 257-260). ის აქტიურად იყო ჩართული ირანში XX

---

[3] მუჯთაჰიდი- ეს არის უმაღლესი მუსლიმი სამართალმცოდნე

[4] ალიმი- მუსლიმი მეცნიერი

საუკუნის 70-იან წლებში მიმდინარე მოვლენებში, მონარქიის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებში.

ისლამური რესპუბლიკის პირველი პერიოდი ალი ხამენეის აქტიურობა ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ის თავიდანვე იყო ჩართული ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1979 წელს ალი ხამენეი დაინიშნა რევოლუციურ საბჭოში. ოდნავ მოგვიანებით კი ალი ხამენეი გახდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე და ასევე ხომეინის პირადი წარმომადგენელი თავდაცვის უმაღლეს საბჭოში (ჭიპაშვილი, 1989: 315).

აღსანიშნავია, რომ ის ასევე მეთაურობდა ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსსაც. ალი ხამენეი იყო ერთ-ერთ მთავარი მომლაპარაკებელი ირანში აშშ-ს დიპლომატების ტყვედ აყვანის დროს შექმნილ კრიზისში (Muhsi , 2014: 2).

1981 წელს, ირან-ერაყის ომის მსვლელობის დროს ალი ხამენეი მცირე ხნით აიათოლა ხომეინის წარმომადგენელი გახდა უმაღლეს საბჭოში. მაგრამ ის მალევე გაემგზავრა ფრონტზე თავდაცვის მინისტრის დაღუპვის შემდეგ, სადაც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ბრძოლაში.

1981 წელს თეირანში ერთ-ერთ მეჩეთში მას თავს დაესხნენ ტერორისტები, მაგრამ მძიმე ჭრილობების მიუხედავად, იგი გადარჩა. იმავე წელს, ტერორისტების მიერ ირანის ისლამური რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტ მუჰამად ალი რაჯა'ის მოკვლის შემდეგ ხამენეი აირჩიეს ქვეყნის მესამე პრეზიდენტად. ის ამ თანამდებობაზე ორი ვადით (1981-1989 წწ) იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ხამენეი პირველი სასულიერი პირი იყო, რომელიც გახდა ირანის პრეზიდენტი. მისი ორი წინამორბედი: ბანისადრი და რაჯაი საერო პირები იყვნენ. ქვეყნის უზენაესი ლიდერი, რაჰბარი ალი ხამენეი 1989 წლიდანაა.

აიათოლა ხომეინის მემკვიდრედ გამოცხადებული იყო აიათოლა მონთაზერი, მაგრამ სიტუაცია მოულოდნელად შეიცვალა. ხომეინის გარდაცვალებიდან ცოტა ადრე გამოცხადდა, რომ მისი მემკვიდრე აიათოლა მონთაზერის ნაცვლად გახდებოდა ხამენეი, რომელიც ჰოჯათ-ოლლ ესლამი-დან უცბად აიათოლა გახდა, მ. ი. რომ, ის ცნობილი სწავლული არ ყოფილა. ამის გამო ხომეინის

არა ერთმა აიათოლამ განუცხადა პროტესტი, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა(Khosrokhavar, 2002: 10).

ახლა მოკლედ მიმოვიხილავთ, ირანის ისლამური კონსტიტუციის მიხედვით რაჰბარის უფლება-მოვალეობებს:

რაჰბარი, კანონის წინაშე ქვეყნის მოქალაქეებთან თანასწორია;

ის, განსაზღვრავს ქვეყნის საერთო პოლიტიკურ კურსს;

მისი ბრძანებით ტარდება რეფერენდუმი;

ის არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი;

ის აცხადებს ომს. დებს ზავს და ახდენს შეიარაღებული ძალების მობილიზაციას;

მას შეუძია დანიშნოს, გადააყენოს და მიიღოს გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ;

სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების;

ის, ასევე აწესრიგებს ხელისფულების სამ შტოს შორის წამოჭრილ უთანხმოებას;

აწერს ხელს იმ განკარგულებას, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის არჩეული პრეზიდენტი ინიშნება თანამდებობაზე;

არჩევნებამდე პრეზიდენტების კანდიდატურას, სანამ ისინი მიიღებენ არჩევნებში

მონაწილებას, რაჰბარმა უნდა მოიწონოს;

თუ კი რესპუბლიკის არჩეული პრეზიდენტი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, მისი

გადაყენების უფლება აქვს რაფბარს.

ის გამოსცემს ამნისტიას და შეუძლია სასჯელის შემსუბუქებაც (ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2011: 63).

თუ კი რაჰბარი ვერ ასრულებს თავის კანონიერ მოვალეობას, ან ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს, ამ შემთხვევაში იგი თანამდებობიდან იქნება გადაყენებული. ეს შეუძლია გააკეთოს ექსპერტთა საბჭომ, რომელიც ასევე ირჩევს რაჰბარს. ექსპერტთა საბჭოში შედის 12 წევრი აქედან 6 მუდმივი და 6 არჩევითია, წევრების ნახევარს თავად რაჰბარი ამტკიცებს (ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2011: 67).

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, მას შემდეგ, რაც ხომეინის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, გაურკვეველი რჩე-

ბოდა, ვინ გახდებოდა მისი მემკვიდრე, ანუ მომავალი რაჰბარი, რომელიც მისი იდეების გამგრძელებელი იქნებოდა, მიმდევარი ,,ველაიათ-ე ფაყიჰ"- თან დაკავშირებით. 1989 წელს სწორედ ალი ხამენეი დაინიშნა მომდევნო რაჰბარად (ჭიპაშვილი, 1989: 317-319), თუმცა მას არ ჰქონდა სულიერი ლიდერისთვის საჭირო კვალიფიკაცია. ხამენეი იმ დროს, ჯერ კიდევ არ იყო უმაღლესი სასულიერო პირი - აიათოლა. მას მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ „ჰოჯათ-ოლლ-ესლამი“-ის წოდება. ეს პრობლემაც ხომეინის გარდაცვალებამდე მოგვარდა.

ალი ხამენეიმ რევოლუციის გუშაგთა კორპუსზე შეინარჩუნა სრული კონტროლი, რომლის ელიტარული დანაყოფი ,,ყოდსი" უშუალოდ მის კონტროლს დაექვემდებარა. მასვე ემორჩილება ბასიჯებიც (Arjomand, 2009: 38).

ალი ხამენეი მხარს უჭერს ძლიერ ცენტრალიზებულ მთავ-რობას მისი ლიდერობის ქვეშ. რათა თავიდან იქნას აცილებული საგარეო ფაქტორების გავლენა შიდა პოლიტიკაზე. 1989 წლის ივლისის რეფერენდუმზე დამტკიცდა კონსტიტუციაში შეტან-ილი ცვლილებები, რომლის შედეგადაც გააუქმდა პრემიერ-მინისტრის პოსტი, გაძლიერდა პრეზიდენტის ინსტიტუტი და რაჰბარს მიენიჭა მნიშვნელოვანი უფლება-მოსილება ზედამხედ-ველობისა და პოლიტიკურ საქმეებში ჩასარევად (Adelkhah, 2000: 57).

ხამენეის კარგი ურთიერთობა ჰქონდა მის მომდევნო პრეზი-დენტ ჰოჯათ-ოლ-ესლამ ალი ანსარი რაფსანჯანთან (1989-1997 წწ), ის იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რევოლუციური ფიგ-ურა, რის გამოც ხამენეი და რაფსანჯანი დაახლოებულები იყვნენ.

თუმცა, ალი ხამენეის ურთიერთობა რეფორმისტ პრეზიდენტ სეიდ მოჰამად ხათამისთან, რომელიც 1997 წლიდან 2005 წლა-მდე იკავებდა პრეზიდენტის პოსტს, მეტ-ნაკლებად დაეძაბა. ხამ-ენეის კონსერვატიზმისა და შეერთებული შტატებისადმი ღრმა უნდობლობის საწინააღმდეგოდ, ხათამის ჰქონდა ლიბერალი-ზებული დღის წესრიგი და ემხრობოდა შეერთებულ შტატებთან დაახლოებას (Muhsin, 2014: 3).

ურთიერთობა დაიძაბა ხამენეისა და ქვეყნის მეექვსე პრეზიდენტ მოჰამად აჰმადი ნეჟადის შორის, ამ უკანასკნელის პრეზიდენტობის მეორე ვადის პერიოდში. ითვლებოდა, რომ აჰმადი ნეჟადი ცდილობდა შეესუსტებინა სასულიერო პირების (სულიერი ლიდერის, რაჰბარის) ძალაუფლება. დაძაბულობა მათ შორის განსაკუთრებით, საზოგადოებაში 2011 წლის აპრილში გამოჩნდა, როდესაც აჰმადი ნეჟადმა 11 დღის განმავლობაში უარი თქვა კაბინეტის სხდომებზე და მის საპრეზიდენტო ოფისში მოხსენებაზე, მას შემდეგ რაც ხამენეიმ დაზვერვის მინისტრის გადაყენებას ვეტო დაადო (Ganji, 2013: 3).

2012 წლის მარტში აჰმადი ნეჟადი მეჯლესმა გამოიძახა სესიაზე უპრეცედენტო დაკითხვაზე მისი პოლიტიკისა ხამენეისთან ბრძოლის გამო. აჰმადი ნეჟადმა საპრეზიდენტო ვადა 2013 წელს დაასრულა, მას 2017 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ხელახლა კენჭისყრა ალი ხამენეიმ აუკრძალა. მალე მოჰამად აჰმადი ნეჟადისთვის ცხადი გახდა, რომ ალი ხამენეის წინააღმდეგ წასვლა მისთვის წამგებიანი იქნებოდა, ამიტომაც მან შეცვალა დამოკიდებულება რაჰბარისადმი. მათ შორის უთანხმოება მოგვარდა. ალი ხამენეის, როგორც ქვეყნის სულიერ ლიდერს, კონსტიტუციით აქვს მინიჭებული დიდი ძალაუფლება, რომლის შეზღუდვის შესაძლებლობა ნეჟადის, მას ამის როგორი დიდი სურვილიც არ უნდა ჰქონოდა, ვერ შეძლებდა. ალი ხამენეი. მისთვის მინიჭებულ უფლებებს ყოველთვის იყენებს და აქტიურად ერთვება ირანის პოლიტიკაში.

ხამენეის ბოლო პერიოდის ჩართულობა ირანის პოლიტიკაში. ყურადღებას გავამახვილოთ აჰმადი ნეჟადის მომდევნო პრეზიდენტ ჰასან როუჰანის პრეზიდენტობის დროინდელ პერიოდზე. კონკრეტულად აქ იგულისხმება ბირთვული შეთანხმებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტსა და რაჰბარს შორის პოზიციების თანხვედრა, რომელიც 2015 წელს ირანისათვის კარგად დასრულდა. ამ წლის ივლისში 6 ქვეყანასა და ირანს შორის შედგა შეთანხმება ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. 2013 წლიდან პრეზიდენტ ჰასან როუჰანს მოუხდა დარწმუნება ალი ხამენეისა იმაში, რომ აღნიშნული შეთანხმების მიღწევა აუცილებელი იყო ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზის-

იდან გამოსაყვანად (Iran's Nuclear Program, 2021:2). უნდა ავღნიშნოთ, რომ როუჰანი ბირთვული პროგრამასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. ის კარგად იყო ამ საკითხში ჩახედული და მან სულიერ ლიდერთან ერთად ეს საქმე საკმაოდ წარმატებულად დაასრულა.

2018 წელს ზემოთხსენებულ ბირთვული შეთანხმების გამო კვლავ შეიქმნა პრობლემები, ირანსა და აშშ-ს შორის. შეთანხმება ჯერ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დატოვა, შემდეგ ირანმაც. ამასთან დაკავშირებით ალი ხამენეიმ უკმაყოფილება გამოთქვა და ამ შეთანხმების პირობის დარღვევაში აშშ-ს დაადანაშაულა.

ერაყის დედაქალაქ ბაღდადში აშშ-შ მიერ 2020 წლის 3 იანვარს რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ელიტარული დანაყოფის, ყოდსის მეთაურის ყასემე სოლეიმანის მკვლელობამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ერთხელ კიდევ დაიძაბა. ირანის პრეზიდენტზე მეტად ალი ხამენეი აქტიურობდა და გამოთქვამდა პროტესტს შექმნილი მდგომარეობის გამო (Murphy, 2022: 1). უნდა აღინიშნოს, რომ როუჰანზე მეტი მკაცრი განცხადებებით ხამენეი გამოირჩეოდა. ის ხმამაღლა აცხადებდა, რომ ყასემე სოლეიმანის მკვლელობის გამო, დამნაშავე უნდა დასჯილიყო.

ირანის ახალი პრეზიდენტი ებრაჰიმ რაისი, ქვეყნის უზენაეს ლიდერთან დაახლოებული ულტრაკონსერვატორი სასულიერო პირია, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს ალი ხამენეი უჭერდა, ამან დიდწილად განსაზღვრა მისი გამარჯვება.

საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიისას, ებრაჰიმ რაისიმ თავი წარმოაჩინა, როგორც საუკეთესო კანდიდატმა კორუფციასთან წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. ის პრეზიდენტად არჩევამდე იყო ირანის მართლმსაჯულების სისტემის ხელმძღვანელი, რომელიც ულტრაკონსერვატიული პოლიტიკური შეხედულებებით გამოირჩევა. ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები აშშ-სა და ირანს შორის ებრაჰიმ რაისის პრეზიდენტად არჩევისას კვლავ განახლდა. აღნიშნული მოლაპარაკებები ამჟამადაც მიმდინარეობას. ალი ხამენეი კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებიდან გამომდინარე, ყველა მნიშვნელოვან პროცესშია ჩართული. აქედან

გამომდინარე ცხადია, ამ მოლაპარალების გაგრძელებაც და მიმდინარეობაც მასთან შეთანხმებით ხდება.

დასკვნა

ხამენეი როგორც პოლიტიკური ლიდერი განსხვავდება მსოფლიოს სხვა ლიდერებისგან თავისი უფლებამოსილებით. ის არის განსხვავებული ლიდერი მთელს მსოფლიოში, რადგანაც მის ხელში თავმოყრილია, როგორც სასულიერო, ისე საერო ძალაუფლებაც.

ალი ხამენეი ორივე მათგანს საკმაოდ კარგად იყენებს. ის აქტიურადაა წარმოდგენილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და დიდ როლს ასრულებს ირანის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

დამოწმებული ლიტერატურა:

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია (2011). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“;

ჭიპაშვილი, გ. (1989). *„ირანის სახელმწიფო წყობილება“.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“;

Adelkhah, F. (2000). *Being Modern in Iran.* Now York: Columbia University Press;

Arjomand, S. (2009). *After Khomeini: Iran Under His Sitccessors.* New York: Oxford University Press;

Ali Khamenei rahbar of Iran (2014).https://www.Britannica.com /biography/Ali-Khamenei;

Khosrokhavar, P. (2002). *Postrevolutionary Iran and the Now Social Movements.* In Hooghund,E..(ed.).

Muhsin. S. *Mahdi Portrait of Ali Khamenei Supreme Leader in Iran* (2014). https://www.institutmontaigne.org/en/blog/portrait-ali-kh amenei -supreme-leader-iran;

Ganji, A.. (2013). *Who Is Ali Khamenei?*https://www.Foreignaffairs .com/articles/iran/2013-08-12/who-ali-khamenei;

Iran's Evolving Nuclear Program and Implications for U.S. Policy (2021).*https://www.csis.org/analysis/irans-evolving-nuclear-program-and-implications-us-policy;*

Murphy, F. (2022). *Talks to salvage Iran nuclear deal resume quietly in Vienna.* https://www. reuters.com/world/middle-east/talks-salvage-iran-nuclear-deal-resume-quietly-vienna-2022-02-08/.

REFERENCES

Iranis Islamuri Resp'ublik'is K'onst'it'utsia (2011). *[Constitution of the Islamic Republic of Iran].* Tbilisi: gamomtsemloba „Metsniereba";

Ch'ip'ashvili, G. (1989). *„Iranis Sakhelmts'ifo Ts'qobileba" [„Iranian state system"]* . Tbilisi: gamomtsemloba „Metsniereba";

Adelkhah, F. (2000). *Being Modern in Iran.* Now York: Columbia University Press;

Arjomand, S. (2009). *After Khomeini: Iran Under His Sitccessors.* New York: Oxford University Press;

Ali Khamenei rahbar of Iran (2014). https://www.Britannica .com/biography/Ali-Khamenei;

Khosrokhavar, P. (2002). *Postrevolutionary Iran and the Now Social Movements.* In Hooghund, E..(ed.).

Muhsin. S. *Mahdi Portrait of Ali Khamenei Supreme Leader in Iran* (2014). https://www.institutmontaigne.org/en/blog/portrait-ali-kh am enei-supreme-leader-iran;

Ganji, A.. (2013). *Who Is Ali Khamenei?*https://www.Foreignaff airs.com/articles/iran/2013-08-12/who-ali-khamenei;

Iran's Evolving Nuclear Program and Implications for U.S. Policy (2021).https://www.csis.org/analysis/irans-evolving-nuclearprog ram-and-implications-us-policy;

Murphy, F. (2022). *Talks to salvage Iran nuclear deal resume quietly in Vienna.*https://www.reuters.com/world/middle-east/ talks-salvage-iran-nuclear-deal-resume-quietly-vienna-2022-02-08/.

Political portrait of Ali Khamenei

Maia Kapanadze
Doctor of History,
Associate Professor, Caucasus International University,
Tbilisi, Georgia

.

Tamta Kodua
Caucasus International University
Doctoral Program in Political Science,
Tbilisi, Georgia

Abstract

The spiritual leader of Iran is an important figure for this state. He is not only a spiritual but also a political leader. He has quite a lot of power in his hands, which is enshrined in the country's constitution.

Quite interesting is the current leader of the Islamic Republic of Iran Ali Khamenei. His political activities are also distinguished. Therefore, he attracts attention, not only as a spiritual but also as a political leader. It is noteworthy that before Ali Khamenei became the Rahbar (spiritual leader) of Iran, he was the president of the country for 8 years and ruled the country together with the first spiritual leader of Iran, Ayatollah Ruhola Khomeini.

Ali Khamenei is quite active in the political life of the country, which is his legitimate right. He played a key role in lifting sanctions on Iran in 2015, along with then-President Hassan Rouhani. He is still actively involved in the ongoing negotiations on sanctions against Iran.

Keywords: Iran; Rahbar; Leader; Khamenei; Constitution; Politics.